

ცისკარი

1865

ფ ე ბ ე რ ვ ა ლ ი.

წელიწადი მეხუთე.

წოდება თხზულებათა:

- I. — მოძღვრება აღსარებისათჳს. გაბრიელ ენისკონოზის.
- II. — 1, საბრძანო (რომანი ვიკტორ ჰიუგოსი). გ. დიდუბუღიძის.
2, ზედია ტრაგ. სამს მოქმედებთ. ივ. კერესელიძის.
- III. — ლექსები სხუა და სხუა შწერლებას.
- IV. — კრება დავით აღმაშენებლის დროს.
- V. — კარბაღდის ცხოვრება. . . ანტ. ფურცელაძის.
გოდება ებრაულა. (ლექსი.) . თ. აკ. წერეთლის.
- VI. — ორიოდე სიტ. დ. მაგარსკიზედ. . .
ვარი და ბუღბუღი. (ლექსი.) . თ. აკ. წერეთლის.
- VII. — სხუა და სხუა ანბავი. (იხილე მეორე გვერდზედ.)

ცფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

მოდღურება აღსარებისათვის, თქმული ზარასკევს
 ჰირველსა კვრიაკესა დიდ მარსხსასა, გაბრიელ
 ეპისკოპოსისა-მიერ.

ს ხეუარელნო ძმანო ქრისტიანენო! ვგონებ, რო-
 ძელ მრავალნი აქუწნ მორის ემსადებით სვალისა-
 თვის ზიარებად და დღეს უნდა სთქვათ აღსარებას
 წინაშე მოძღვრისა თქუწნისა. ამისთვის მსურს
 წინადაგიგო თქუწნ რაოდენიმე ჭაზრი მის თვის,
 თუ რაღ არს აღსარება, ვინ და რისთვის დაა-
 წესა აღსარება, და უბეტესად როგორ უნდა მო-
 ემსადოს ქრისტიანე აღსარებისათვის, უკეთესურს
 მიიღოს მისგან სრული სარგებლობა სულიერი.

მონანება და აღსარება არს ერთი ძვიდთა
 საიდუმლოთაგანი. საიდუმლონი, ვითარცა უწევით
 იქუწნცა, დააწესა უფალმან ჩუწნმან იესო ქრისტე-
 მან მისთვის, რათა მათითა საშვალობითა მიი-
 დოს მოწმუნემან უსილავო მადლი სულისა წმინდ-

ისა განსამტკიცებელად და საცხოვნებელად სულისა მისისა. აღსარებასა შინა, კაცო მონანული, განიხილავს რა თავსა თვსსა და შეიტუობს რა ეოველთა თვსთა ცოდვითა, მივალს მოძღვართან და გულწრფელად შეატუობინებს მას სულიერსა თვსსა მდგომარეობასა და მიიღებს მისგან მენდობასა ცოდვითა თვსთასა სასეღითა და ძალითა უფლისა ჩუჭნის იესო ქრისტესითა. მაცხოვარძან, აღდგომილძან მკვდრეთით, მისცა მოწაფეთა თვსთა უფლება შეკვრისა და განხსნისა კაცთა ქვეყანასა ზედა შეტეველძან: «მიიღეთ სული წმინდა, უკეთუ ვიეთნიმე შეიპურნეთ შეპურობილ ივენენ და უკეთუ ვიეთნიმე მიუტევენთ ცოდვანი, მიეტევენეს მათ. რომელნი შეკრათ ქვეყანასა ზედა იეოს შეკრულ ცათა შინა, ხოლო რომელნი განხსნათ ქვეყანასა ზედა იუაზნ განხსნილ ცათა შინა.» მოციქულთა უფლება ესე გარდასცეს თვსთა მოადგილეთა და ესრეთ ვიდრე აქამოდრე მოძღვარნი თქუჭნნი ისმარებენ უფლებასა ამას თქუჭნდა საცხოვნებლად.

არ არის აქ საჭირო ვრცლად განვიხრახოთ და დავამტკიცოთ, თუ ვითარ დიდ არს და მაცხოვნებელ კაცთა თვს საიდუმლო ესე მონანებისა. საიდუმ-

ლომთა ნათლის ღებისათა კაცი იშვების სული-
 ერად, განიწმინდების და შეერთების ღმერთთან;
 სოლო უკეთუ შეეძლოს კაცს დამარხვა სიწმი-
 დისა და მადლისა რომელსა იგი მიიღებს ნათლის
 ღებასა შინა, აღარ იქმნებოდა მისთვის საჭირო
 მონანება და აღსარება; გარნა, სამწუსაროდ ვერცა
 ერთი კაცი მცხოვრები ამ სოფლად, ვერ დაიცავს
 უმანკობასა ნათლის ღებისასა. ჩუენ ვოველნი
 ვსცოდავთ მარადის ძმანო, და ერთი მსოლოდ
 გვაქვს ღონის ძიება, ესე იგი, მონანება, რომლითა
 შეგვიძლია კვლად აღვადგინოთ უბიწოება ჩუენი
 და შეურიგდეთ მამასა ჩუენსა ზეციერსა; ამის-
 თვის წმინდანი მამანი უწოდებენ მონანებასა მეორე
 ნათლისღებად. უკეთუ ღმერთს არ მოენიჭებია ეს
 დიდი მოწუხლება ჩუენთვის, ვგონებ რომ ვერც
 ერთი კაცი ვერ იცხოვნებდა სულსა თვისსა.

გარნა, ძმანო ჩემნო, ვისაც სურს რომ კეთი-
 ლად ისარგებლოს წმინდითა ამით საიდუმლომთა, მან
 ჯეროვნად უნდა აღასრულოს იგი; ვინც განუსრუ-
 ხველად და სიჩქარით იტუვის აღსარებასა, იგი
 ვერ მიიღებს მისგან დიდსა სულიერსა სარგებლ-
 ბასა. აღსარებასა ძმანო დიდი მომხადება უნდა,

ჩუჭნ ეოველნი ისთე ვუქრობთ და ის ჩვეულება გვაქვს, რომელ აღსარების მოქმედებან მხოლოდ უნდა გაისსოვნოს რაც ცოდვა უქმნია, განმავალობასა შინა ერთის წლისასა, მეტეთ მივიდეს და უთხრას ძღუდელსა და მიიღოს მისგან შენდობა. ეს საკმაო არ არის, მძანო ჩემო! აქ უმთავრესი საქმე ის არის, რომ შენ ეცადო და შეიტყო შინაგანი შენი მდგომარეობა. არა თუ მხოლოდ გაისსოვნო რა ცოდვა გიქმნია, არამედ ისიც შეიტყო რა იყო მიზეზი შენისა ცოდვისა, რომლისა წყაროგან გამოვიდა ცოდვა შენი. თუთოეულს ცოდვასა აქუს თავისი წყარო და ფესვი გულსა შინა ჩუჭნსა; ეოველნი ცოდვანი წარმოსდგებიან და გაჩნდებიან რომელთაჲ ცუდათ თვსებათა და ბოროტთა მიდრეკილებათაგან ჩუჭნთა; თუთოეულს კაცსა, მძანო ჩემო, აქუს თავისნი საკუთარნი ჩვეულებანი და მიდრეკილებანი, რომელნი შეადგენენ მისსა ხასიათსა. მაგალითებრ: ერთი არის გულფიცხელი და ეს გულფიცხელობა მისი შეიქმნება წყარო მრავალთა მისთა ცოდვათა; მეორე არის ამხარტავანი, ანუ თავსედი, ამისგან შთავარდება მრავალთა შეცთომილებათა შინა; სოგი

არის ანგარი და ამისათვის ისამს მრავალთა ცოდვათა; სსტა არის მოძურსე და ხარბი; კვალად სსტა არის წარმადი, ანუ ცილის მწამებელი და სსტანი, მენც, მძაო ჩემო, როდესაც ემსადები აღსარების თქმასა, ეცადე და შეიტყვე რა ნაკულეგანება გაქვს შენ და რა ვნება გჭირს, რომლისაგან წარმოსდგებიან თუოოულნი შენნი ცოდვანი, ვგონებ, რომ ან თუთან შენ უინსავს, ან გაგონია, რომელ, როდესაც მიწის მუშაკი სწმენდს თვისსა საუანესა ცუდთა და მავნებელთა ბალასთაგან, მაშინ იგი ცდილობს რომ ფესვიანათ ამოგლიჯოს ივინა მიწისაგან, და, თუ მსოლოდ შეითვან მოსჭრა ივინი და ფესვები კი მიწაში დასტოვა, კვალადვე აღმოცენდება ივინი და გააფუჭებენ თესლსა. მენც ესრეთ მოიქეცი მძაო ჩემო, უკეთუ გსურს კეთილად გასწმინდო გული შენი, ეცადე რომ ფესვიანათ ამოგლიჯო მისგან ყოველნი ცოდვანი შენნი.

შეორედ მძაო ჩემო, უკეთუ კარგად არ განიხილე თავი შენი და კარგად არ აცნობე მოძღვარსსა შენსა სულიერი შენი მდგომარეობა, იგი ვერ მოგცემს შენ კეთილსა და ჯეროვანსა უკურნებასა.

ცოდვა სულისა ჩუჭნისათვის არის, ვითარცა სნეულება სორცისა ჩუჭნისათვის, მკურნალი ვერ შესძლებს სნეული კაცის მოჩვენასა უკეთუ ჰირველად არ შეიტყო მიზეზი მისისა სნეულობისა. ეგრეთვე უკეთუ კეთილად ვერ შეატუობინე მოძღვარსა მიზეზი სულიერისა შენისა სნეულობისა, ვერცა იგი მოგცემს შენ კეთილსა დარიგებასა და სასარგებლო წამალსა. ეცადეთ, საუვარელნო ძმანო ქრისტეანენო, რომელ არა უქმად და უნაუფოდ იყოს პრომა და მოღვაწება თქუჭნი. სოლო გსურთაა შეიტყოთ სასარგებლოდ დარჩა თქუჭნთვს აწინდელი მარსვა და მონანება თუ არა? არის ერთი ჭეშმარიტი და სამღვილი ნიშანი, რომელი გამოაჩენს, მიიღე ია თქუჭნ სულიერი სარგებლობა. უკეთუ თქუჭნ ამიერიდგან უმჯობესნი შეიქმენით სულიერად, უკეთუ თქუჭნ ის ცოდვა, რომელიცა აქამომდე გაწუსებდა, განიმორეთ და შეიძულეთ, სოლო მაღლი და სათნოება, რომელიც აქამომდე არ გქონდათ შეივარეთ და აღასრულეთ, ცხად იქმნება, რომელ მიცილია თქუჭნ დიდი სულიერი სარგებლობა აწინდელისა მოღვაწებისა და მარსვისაგან. სოლო, უკეთუ თქუჭნში არაფერი ცვლილება არ

მოსდა. უკეთუ ვაათავებთ რა აღსარებასა და მიი-
 დებთ რა ზიარებასა, კვალადვე დაადგებით უწინ-
 დელსა კვალსა და იზამთ უწინდელთა საქმეთა,
 უკეთუ ვინც გულუფიცხელი იყო, იგი იგრევე
 იწიქებს ჯავრობასა და გინებასა მოევასისხსა,
 ვინც ამჰართავანი იყო, მან არ დაიმდაბლა თავი
 თვისი, ვინც ანგარი იყო იგი იგრევე დარჩა
 გაუძღარი და სარბი, ცხად იქმნება, რომე ესე
 ამოდ დაუკარგავთ დროება თქვი. რისთვის
 ვსედავთ ჩუტნ ამ ჩუტნ ქვეყანაში, რომელ თუძცა
 მრავალნი ჰირნი და თუქმის ეოველნი, ძლიერ
 გულ მოდგინედ მარსულობენ, ძლიერ მტკიცედ
 ემსადებიან ზიარებასა და თუქმის ისთე მარსუ-
 ლობენ, რომ ზოგჯელ ავით გასთებიან, ნამეტანის
 მარსულობისაგან, მაგრამ ზიარების მერმეთ არაფერ
 ცვლილებას და უმჯობესობას არ ნახავს კაცი
 მათ შორის, მისთვის რომელ იგინი კარგათ არ
 განიცდიან თავსა თვისსა და არ შეიტუობენ რა
 უნდა გამოიცვალონ და რა უნდა მოიძალონ.
 ხოლო თქუტნ ძმანო, ეცადეთ, რათა უმჯობესნი
 შეიქმნეთ ამიერიდგან სულიერად. ამინ.

საბრალონი.

(განგრძელება.)

ღენერალის ადვოკატი, რომელიც იდგა ფეს-
ზედ შანმატიეს ჩვენების დროს, მიუბრუნდა ჰრეზი-
დენტსა და უთხრა:

--უფალო ჰრეზიდენტო, ჩქონ კვაქუს ახლა
სახეში ჩვენება შანმატიესი, რომელიც უარს ჰყოფს
ეოველს დანაშაულობასა, და აჩვენებს თავსა რეგ-
ვენათ, თუძცა ამითი ვერ მიატეუებს მართლ მსა-
ჯულებასა; ახლა თუ თქვენც ინებებთ სელახლათ
დავიბაროთ ტუსადათ მეოფნი: ბერვე, კამხალი,
შენილდე და ჰოლიციის ჩინოვნიკი ყოვერი, რომ
უკანასკნელათ დაამტკიცონ მთელს სასამართლოს
შეკრებულებაში მსკავსება ამ ტუსადის ჟანვალჟან-
თან.

ამაზედ ჰრეზიდენტმა მიუგო, რომ ჰოლიციის

ჩინოვნიკი სამსახურის საქმედ წასულია მასლობელს
მასრაში და ამისთვის არ შეუძლიან იმას გამოცხად-
დეს.

--მაშ ნება მოგვეცით ვაცნობოთ დაფიცებულთა
ჩვენება ჟოვერისა, რომელიც მან დასტოვა აქა.
ჟოვერ არის კაცი ზატოვისაწყემი და მცოდნე
სრული სამსახურის ვალდებულებისა. მოიტანეს
ჩვენება ჟოვერისა. ის სწერს შემდგომსა: «ჩემთვის
საჭირო არ არიან არც ზნეობითნი, არც ნივთიე-
რნი დამტკიცებანი შესადგენელათ დარწმუნებისა
ტუსაღის ზიროვნობაზედ. მე ვიცნობ იმას სრულიად.
იმ კაცს ჭკვან არა მანმატიე, არამედ ის არის
კატორჟნიკათ მეოფი, სახელით ჟან ვალჟანი. რო-
დესაც მას გაუთავდა ვადა ტუსაღობისა, ის იყო
განთავისუფლებული საბჭოობილიდამ, სადაც მან
გაატარა ცხრამეტი წელი ქურდობისათვის. იქ ხუთ-
ჯერ თუ ექვსჯერ მან დააპირა გაპარვა, გარდა
ჟერვესა და ზიერონის გაქურდვისა, მე მაქვს ეჭ-
ვი, რომ იმანვე გაქურდა განსვენებული ძირიელ
ენისკოპოსიც. როდესაც მე ვმსახურებდი ტულონში,
ხშირათ ვნახავდი ხოლმე იმას მადნებში. მე გა-
ნმეორებით ვამტკიცებ, რომ ამ ტუსაღში მე ვცნობ

ნამდვილს ჟანვალჟანსა.»

ამ გვარმა დამტკიცებითმა გამტყუნებამ აწარმოვა ძლიერი მოქმედება სალსზედაც და დაუიცულთ სალსზედაც. ღენერლნის ადგოკატმა მოითხოვა, რომ ჟოვერის სსვაგან მეოფობის გამო იუგნენ კითხულნი ბრევე, შენილრე და კაშხალი.

პრეზიდენტმა მისცა ბრძანება, რომ გაეღოთ კაროი საიღამაც შედიოდნენ მოწმეები. შვეიცარმა გააღო კაროი, და შეიკვანა ჟანდარმის მხედველობას ქვემ ბრევე. სალსმა გაკმინდა სული, ეველას გულმა დაუწყო ცემა და თვალი მათი მიიქცა ბრევესაკენ.

კატორჟნიკათ მეოფს ბრევეს, რომელიც იყო სა-მოცის წლისა, ეცვა ნაცრის ფერი კურტკა და ჭქონდა სასე თუცა საქმიანის ანუ თავიანის კაცისა, მაგრამ ბოროტ მოქმედისა. იმ გვარნი კაცნი სშირნი არიან ქვეუანაზედ. საპერობილეში ის ჩაესვათ სელასლათ, ახალის გარდახდევინებისათს.

ბრევე! უთხრა მას პრეზიდენტმა:--რადგან თქვენსა ხართ განსაკიცხავს სასჯელს ქვენს, ამისთვის არ შეიძლება თქვენნი ფიცზედ მიშვება.

ბრევემ ძირს დაიწყო უურება, მაგრამ არა მი-
მხედო მისა, განავრძო ზრესიდენტმა, რომ სჯულს
დაუუენებისართ ისრეთს დაბალს კაცის ღირსების
ხარისხსედ, ღვთის შეწევნით თქუწნ უნდა გქო-
ნდესთ კიდევ გრძნობა ჰტიოსნებისა და ვალდე-
ბულებისა. და აი იმ გრძნობას მივმართავ მე ას-
ლანდელს საჭიროს შემთხვევაში. თუ რომ ის
გრძნობა არ გამქრალა ჯერ თქუწნში, (მე დარ-
წმუნებული ვარ რომ არ გამქრალა სრულიათ),
იფიქრეთ კარგათ იმაზედ, თუ რა ზასუსი უნდა
მოგვცეთ ჩუწნა? და ვფიქრდეთ კარგათ იმაზედ, რომ
ერთის თქუწნის ტეუილის სიტეუვით შეგიძლიანთ
ამ კაცის უბრალოთ დაღუპვა, და იმაზედაც,
რომ თქუწნ შეგიძლიანთ ჭეშმარიტება. კარგათ
და ფიქრდით რომ არაფერში შესცდეთ, მანმატიე
გონოვთ ადგეთ ზესე. ბრევე! აბა მოიფიქრეთ
ვოველიფუ და თქუთ, საცხოვნებლათ თქუწნის
სულისა, თქუწნის სინიდისისა: ამტკიცებთ ისევ
უწინდელს თქუწნს ჩვენებასა? სცნობთ მაგაში
უწინდელს თქუწნს მადნების ამხანაგსა, ჟანვალჟა-
ნსა?

ბრევემ შესედა მანმატიეს, მერე მიუბრუნდა

პრეზიდენტსა და უთხრა:

--ღიად, უფალო პრეზიდენტო, უწინაც ზირველათ მე ვცანი ეს კაცი, და ახლაც ვამტკიცებ ამას. ეს კაცი არის სწორეთ ქანვალქანი, რომელიც მოვიდა ტულონში **1796** წელსა და იყო იქიდამ განთავისუფლებული **1815** წელსა. მე გამომიძვეს მაგის შემდგომ ერთის წლის უკან. ესლა ეს, როგორც ეტეობა ცოტა გამოეწეებულა; ეს უთოვოთ მოსუცებულობისგან უნდა იეოს; ტუსალობაში ძალიან ეშმაკი კაცი იყო. მე ამას ვცნობ დაბოლოებითათ, გარდაწვევტილათ.

--დასჯევით ახლაკი, უთხრა მას პრეზიდენტმა, თქუცნ კი გოსოვთ ისევ ფესხედ იდგეთ, უთხრა მანმატიეს. შემოიფანეს შენილდე, საუკუნო მადნებში ტუსადი, რომელიც სჩნდა მისის წითელის კურტიისა და მწვანის გულისგან. მანილდე იყო განკებ მოევანილი ტულონიღამ იმ საქმესედ. ის იყო კაცი ორმოცდა ათის წლისა, ტანადაბალი, მჭლე, ეოველს მისს სსეულში სჩანდა სნეულებრივი სისუსტე და შესედულობაშიკი დიდი ძალა.

პრეზიდენტმა მისცა იმასაც თითქმის ის კითხვები რაც ბრევეს, მაგრამ როდესაც მან დაუმატა,

რომ მისი განსაკიცხავი მდგომარება არ ამღევს
მას ნებას ფიცისას, შენილდემ აიღო მაღლა თავი
და სასტიკის თვალთ გადახედა კრებასა. ჰრესი-
დენტმა ჰკითხა; სომ ამტკიცებს უწინდელს თავისს
სვენებას და სომ სცნობს ტუსადსა?

შენილდე ჯერ მოჰქევა ამაზედ სარხარსა და
მერე მიუვო:

როგორ ვერ ვიცნობ მე ამას. სუთი წელიწადი
ვისხედით ერთათ საჰრობილეში ერთს ჯაჭვთ
გადაბმულნი. მერე მიუბრუნდა ტუსადსა და უთხ-
რა; რას მიბღვერი ბებერო?

--დაჯექით, უთხრა მას ჰრესიდენტმა.

ძვეიცარმა შემოიუჟანა კაშხალიც.

ისიც სიკუდილაძდის მადნებში დასჯილი, მს-
გავსი მირინეის დათვისა. კაშხალი იყო უწინ
მთებში ნახშირის მწეუმსათ და ბოლოს შეიქმნა
ავაზაკათ. კაშხალი უფრო ველურათ, უფრო სუ-
ლელათ, ვინემ მანმატიე. ის იყო რიცხვთგან იმა
უბადრუკთა, რომელთაცა ბუნება შეიქმს ველურ
ცხოველებათ, ხოლო საზოგადოება მადნების ტუ-
სადებათ ჰრესიდენტმა ჰკითხა: სცნობს ისა იმის
წინ მდგომარეს კაცსა, თუ არა?

--ეს არის ჟანვალუანი, სთქვა კაშხალმა. იქ ჩუტნ უმასდით ამას ჟან ზოდემსა, იმიტომ, რომ ეს იყო ძრეულ ღონიერი.

ჩუტნება თუთოეულის მოწმისა განაღუქებდა ხალხში დრტუნვასა ანუ სამღურავსა მანმატიეზედ. თუთ მანმატიევი გამოსატავდა სასესედ განკურვებასა, და ეს იყო ხოლმე იმისი უმაჯურესი ღონისძიება თავის დაცვისა. ზირუტლს ჩუტნებაზედ ჟანდარმებმა გაიგონეს, რომ მანმატიემ წაიბუტბუტა: «ეს რა მტუკებია.» მეორეზედ იმან ცოტა სმა მადლა ჭსთქვა: «კარგი.» შესამეზედ: «ეს ჩინებუღია.»

--სომ გაიგონეთ უფ. მანმატიე? ჭკითსა მას ზრეზიდენტმა, აბა რას იტუვთ ახლა?

--ვიტუვთ რომ ჩინებუღია მეოქი.

როგორც ხალხში, ისრე მსაჯულებსში შეიქნა ცხადი დრტუნვა. ცხადი იყო, რომ სვე ტუსადისა იყო გარდაწვევტილი.

უთხარ ხალხსა დაჩუმიდეს, უთხრა ზრეზიდენტმა სუდის მოსამსახურეს, --მე მინდა დავხურო შეკრებიღება.

იმ დროს მახლობლად ზრეზიდენტისა შეიქმნა

მოძრაობა და მოიხმე ვილასიც სმა.

--ბრევე, შენილდე, კაპშალ, შემოიხედეთ ახა
აქეთ.

ვეელას, ვინცვი გაიგონა ეს სმა, დაუარა
ძარღვებში თრთოლამ, ისე მრავალი ისმოდა იმ
სმაში სევდა, და ისე საზარელი იყო ის სმა.
ვეელას თვალი მიიქცა იმ მსარისკენ, საიდანაც
სმა გამოვიდა. კაცი, რომელიც იჯდა შორის
პატევცემულთა კაცთა, მსაჯულების უკან, წამოდგა
ფეხსედა, გამოვიდა წინა ხალაში და დასდგა.
პრეზიდენტმა, ღენერალ ადვოკატმა, უ. ბამატაბუამ
და სსწათა, ოც კაცამდინ, იცნეს ისა და ერთხმად
დაიძახეს:

--უფალი მადელენი!

მართლა მადელენი იყო ისა. იმის ტანის სამო-
სში არ იყო არც ვითარი უწესოება, სერთუკი
ქქონდა შეკრული. მაგრამ თითონ იყო ძრიელ
ფერ მიხდილი და მცირეთ თრთოდა. როდესაც
ის შევიდა არჩასაში, თმა ქქონდა ჭადარა, ესლა
ის იყო სრული გათეთრებული. იმ ერსის საათის
განმავალობაში თმა სრულიად გაუთეთრდა.
ვეელამ მაღლა აიღო თავი. მოქმედება, რომელიც

აწარმოვა მადელენმა, ძნელი ასაწერია. ხალხი უუერებდა ერთმანეთსა. სმა მადელენისა იყო ისრეთი სევდიანი, თითონ იყო ისრეთი მოხვეწებული, რომ ვერც ვინ ვერას მისვდა. ეველა ჭკითსავდა ერთი მეორეს, თუ ვინ იყო ის, რომელმაც სთქვა ეს სიტყვები. ძნელი წამოსადგენი იყო, რომ ის სიტყვები ეთქვა მადელენსა.

მაგრამ ის იჭუნეულება, განგრძელდა მსოლოდ რამდენსამე წამსა. ვინემ ჰრესიდენტი და ადვოკატი მოასწრებდა სმის ამოდებასა, მანამ კაცი, რომელსაც უძასდნენ მადელენსა, მივიდა იმ ხამს მოწამესთან და ჭკითსა:

— მე თქუენ მიცნობთ თუ არა? სამთავ, მოწულულთა იმ კითხვთ, ანიშიძნეს თავის გაქნევით რომ ისინი ვერა სცნობენ მას. კამხალს ისე მეტყვავა, რომ მისცა ჰატივი მსედრულათ. მაშინ მადელენი მიუბრუნდა დაფიცებულთა და მსაჯულთა და წენარის სმით უთხრა:

— უუალო! უბრძანეთ განათავისუფლონ ეს ტუსადი. უუალო ჰრესიდენტი უბრძანეთ ჩემი დაჭერა. კაცი, რომელსაც თქუენ ემებთ, მე ვარ, და არა ეს ტუსადი.— მე ვარ ჟანვალჟანი.

ეველას შეებნიდა სული. იმ სასოგადო განც-
ვიფრებას შეუღვა მკუდარი მევდროება. სალაში
გრძნობდნენ იმ სამღრთო შიშსა, რომელიც მო-
იცვავს ხალხსა, როდესაც მოხდება სოლმე რამე
განსაკურველი დიდი.

ზრესიდენტის სასესედ გამოიხატა ცხადი მწუ-
ხარება და სევდა, გადახედა ხალხსა, ადვოკატსა,
მსაჯულებსა, და მერე სმით, რომელიც მისახვე-
დრი იყო ეველასთვის ჭკითხა:

--აქ აქიმი სომ არსად არის? მაშინ გენერა-
ლის ადვოკატმა იწყო:

უფაღნო დაფიცებულნო, მოულოდნელმა და
საკვრველმა შემთხვევამ განსწევიტა ჩუწნი შეკრე-
ბილება, ჩუწნი სჯა, და გრძნობა, რომელიც ამ
შემთხვევამ გვამსილა მნელი გამოსათქმელია. ჩუწნ
ეველამ გაცონებით მაინც ვიცით ზატივცემული და
განთქმული თვისის ქველის საქმეებით უ. მაღელე-
ნი. თუ აქ იზრება ექიმი ვინმე, ჩუწნ ერთათ უ.
ზრესიდენტიუთრთ ვსთსოვთ იმას მისცეს შემწე-
ობა უ. მაღელენს და გააცილოს ეს თავის სახ-
ლაშიდინ.

უ. მაღელენმა განაშვებინა მას სიტუვა. აისიტე-

ვები, რომელიც სთქვა მაშინ მადელენმა და რომელნიც იუზენ ადწერილნი ერთის იქ დამსწრისაგან და რომელნიც აქამომდე ჰბგერენ უურებში, კაცთა გამგონთა მისთა ორმოცისწლის წინეთ

--გმადლობთ უფალო ღენერალნის ადვოკატო-
თქუწნის მონაწილეობისათჳს, მაგრამ უნდა გითხ-
რათ, რომ მე არა ვარ ჭკუაზედ შეშლილი;
თქუწნ ამას ძალე ნასაუთ. თქუწნ კინაღამ შესვე-
დით დიდს შეცთომაში; გაუშვით ეს კაცი; მე
ვასრულებ ჩემს სამღრთო ვალსა, მე ვარ ის
უბედური განწირული, რომელსაც თქუწნ ემებთ.
ესე ვოველივე მარტო ჩემთჳს არის ცხადი, და
მე თქუწნ გეუბნებით ჭემმარიტებასა. დმერთი ცათა-
შინა სედავს ჩემს ესლანდელს ქცევასა, და ჩემთჳს
ეს საკმაოა. თქუწნ შეგიძლიანთ ესლავე დაჭერა
ჩემი. მე შევასრულე ის, რაც კი კაცის ღონის
ძიებიდამ გამოვიდოდა რომ შევქმნილვეავ
უმჯობეს კაცათ: მე მივიღე სსვა სასელი ვავმდი-
რდი, შევიქენ მერათ; მინდოდა შევსულვიავ
ჰატოსან კაცათ სასოგადოებაში, მაგრამ სჩანს,
რომ ეს შეუძლებელია. მაგრამ ბევრი რამ მრ-
ჩება კიდევ უთქმელი, მე სომ ვერ მოგიუვებთ

ძიელს ჩემის ცხოვრების ისტორიასა, იქნება თქვენ თითონ ოდესმე შეიტყუა ის. სწორეთ შე გავქურდე ეპისკოპოსი, ჰატარა ქერკე, ისინი მართალს ანობენ, რომელიცა გეუბნებიან, რომ ჟანვალქანი არის ბოროტი სჯულის გარდამავალი. ეს ვეელა მართალია, მსოფლოდ ესკი, რომ იქნება შე ვეელაფერში დამნაშავე არ ვიყო უფალნო მსაჯულნო, კაცსა, რომელიც დაეცა ასე ძლიერ, აღარა აქვს უფლება ეძღუროდეს განგებულობასა, ანუ აძლეუდეს სასოგადობას რჩევასა; გახსოვდეთ, რომ საჭერობილვე შეიქმს კატორუნიკსა.

საჭერობილის წინეთ შე ვიყავი. საწუალი გლესი, ძრეელ. გონებით გაუწრთუნელი, თითქმის რეგენი, საჭერობილემ შემცვალა შე. რეგენისაგან იმან გამხადა შე ბოროტათ; ნაკოდალიდამ გადამაქცია შე ნიგუსლათ. შემდგომში კეთილ სულობამ და შებრალებამ მისსნეს შე ისე, როგორც თავი-დამ სისასტიკემ დამღუპა შე, მაგრამ თქვენ ვერ მისვდებითკარგათ იმასა, რასაც შე აქ ვამბობ... თქვენ იზოვნით ჩემს ბუსარში, ნაცარში, ვერცხლის ფულსა, ათაურიანსა, რომელიცა ამ შვიდის წლის წინეთ შე მოვხარე ჰატარა ქერკეს. სსჯა რაღა

უნდა დაუმეტო ამაებსა? მე ვსედავ უფალი ღენე-
რანის კონსული იქნევს თავსა და ფიქრობს;
დაწვალი მადელენა, ჭკუასედა შემლილაო» არა,
მერწმუნეთ რასაც ვამბობ მართალია უველაფერი.
მე თქვენ როგორც ეტეობა არ მიჯერებთ რასაც
ვამბობ! ვსწუსვარ? უოველს შემთხვევაში თუ არ,
დამიჯერებთ, ეს ტუსადი მაინც თავისუფალია,
რადგან ეს უბრალოა. მსურდა, რომ ყოვერ ესლა
ბქ უოფილიყო. ის უთოვოთ მიცნობდა მე.

მწელი ასაწერია თუ რამთენი კეთილ სულობი-
თი სევა ისმოდა იმ სიტუეებიდამ.

მერე ქანვალ ქან მიუბრუნდა იმ სამს ტუსადსა
და უთსრა: მე თქვენ ვერ მიცანით განა? მე კი
გიცანით თქვენა! ბრევე? გახსოვს შენი ჭრელი ზო-
დტიეები, სახეობილეში, რომ გქონდა?

ბრევე ათრაოლდა, განცვიფრდა; შიშით აავ-
ლო თვალი მოლაპარაკეს, ვალქანმა განაგრძო:

--შენილდე, შენ მთელი მხარი დამწვარი
გაქუს. შენ ერთსელ დაწევი იმ მხრით ნაკვერც-
სლებსედ რომ ამოგესოცა დალი, მაგრამ ის დალი
მაინც ისევე გეტეობა; მართალია თუ არა?

მართალია, სთქვა შენილდმა.

მაშინ ჟანვალჟანი მიუბრუნდა კაშხალსა:

კაშხალ, შენ მარცხენა ხელზედ ამომწვარი გაქვს თოფის წამლით რიცხვი და ასოები. რიცხვი ესარის დღე იმპერატორის კანნაში გამოსვლისა ა-ს მარტსა ჩეივ წელსა. აბა შეიკეცე სახელი: კაშხალმა შეიკეცა სახელი, თვალი ეველასი მიიქცა იმის გამიძვლებულის სელისაკენ. ჟანდარმა მოიტანა ასლო ლამფა; რიცხვი მართლათ სჩანდა.

ჟანვალჟანმა გადახედა ხალხსა და მსაჯულებსა მღიმიარებით, რომელიცა აქამოდე არ დაუვიწყნიათ მათ, ვინც კი ის ღიმილი ნახა, ის იყო ღიმილი დღესასწაულობისა და იმასთანავე სასოწარკვეთილებისა.

--არც ახლა გჯერათ, რომ ჟანვალჟანი ვარ?

აღარა სჩანდა თუ ზალაში იყო ვინმე, ან მსაჯული, ანუ ჟანდარმი, ანუ გამამტუნებელი, ისე ძლიერათ იყო შემრული მთელი საზოგადოება. ეველას დაავიწყდა თავისი ვალდებულება, განსაკვირვებელი აი რა იყო: არ იყო არცა ერთი კითხვ ა არაფისკან მიცემული, არა ვითარი მთავრობა არ ერია ჟანვალჟანის საქმეში. იმაში, რაც იქ მოხდა, იყო იმდენი რამ დიდებული, რომ ეველა

შეიქნა მცქერელი, ეველა დარჩა გავლენის ქვეშ
მხოლოდ იმ ერთის კაცისა. ვერაფერზე აძლედა
თავის თავს ანგარიშსა, თუ რას სცდიდა სულში
იმ დღესასწაულებითს წამებაში; შინაგანათ ეველანი
იუვნენ დაბრძალებულნი.

აღარ იყო არცა მცირედი ეჭვი, რომ ის იყო
სწორეთ ქანვალქანი. გამოცხადებამ იმ კაცისამ
სრულიად გაანათლა საქმე, რომელიცა რაიდენისამე
წამის წინეთ იყო ისე საეჭო და ბნელი. ბნელი,
თვინიერ ეოვლის ახსნისა, სრულიად მთელი
სახოგადობა მისვდა ერთს წამის ეოფაში მარ-
ტივსა, გარნა გულის მომწვევლელს ისტორიას
იმ კაცისას, რომელმაც გაამუღავნა თავის თავი,
რომ დაისწას კაცი უბრალო.

--მე მეტს ვედარ შევაწუსებ აქ მეოფთა,
სთქვა ბოლოს ქანვალქანმა, და რადგან არა ვინ
ნებულობს ჩემს დაჭერას, ეს არის მე მივდივარ,
მე სხუაც ბევრი მაქუს საჭირო საქმე,
უფალმა ღენერალნის ადვოკატმა იცის ვინცა ვარ
და ან სადავარ, იმას შეუძლიან ეოველთჯს,
ეოველს დროს, დატუსალება ჩემი, როდესაც კი
ინებებს.

და ჟანვალქანი მივიდა კარებთან. ვერაჟინ ცაბედა რომ გაეცა ბრძანება იმის დაჭერისა, ვერაჟინ სელი ვერ დიიძრა შეეეენებინათ ის კარებთან. ეველამ გზა მისცა მას ჰატოვისცემით იმ წამში, იმ კაცში ეველა სედავდა რაღაცა დიდსა, სამღრ-
თოსა, რომელიც აიძულებდა ეველას იმეცა მისთვის დაუბრკოლებელი გზა. ვალქანმა გაუარა კვერდით მრავალს ხალხსა წუნარის ნაბიჯით, არა კინ იცის ვინ გაუღო მას კარი. იციან მსოფლოდ, რომ მას თითონ არ გაუღია კარი, იქ ერთი კიდევ მიუბრუნდა ლენერილნის ადგოკატსა და უთხრა: უფალო! მე თქვენს სრულს განკარგულებაში გასლავართ. მერე მიუბრუნდა ხალხსა და უთხრა.

--მე თქვენ გებრალებით ასლა განა? ღმერთო ჩემო! როდესაც მომაგონდება რას ვაპირებდი..... ესლა კი იმედი მაქვს ღირსივარ მურისა, მაგრამ ის კი ეველაზედ უკეთესი იქნებოდა, რომ ეს არაფერი არა მომხდარიყო რა.

ჟანვალქანი გავიდა. კარები მიესურა ისე, რო-
გორც იმის გასვლის წინ ის გაეღო; კაცნია რო-
მელნიც შეასრულებენ რასმე დიდებულსა, ეოველ-
თვს იზოგნიან კაცთა; რომელნიც მსახურობენ მათ.

ერთის საათის შემდგომ მანმატიე იყო განმართლებული და განთავისუფლებული. მოწულული იმ შემთხვევით მანმატიე ფიქრობდა, რომ უკვლა ჭკუაზედ იყო შეშლილი. იმას კიდევ არ ესმოდა კარგათ თუ რა მოხდა.

დილა ადრიან ქანვალქანი დაბრუნდა შინა. ის შევიდა ჰირდაჰირ ფანტინას ოთახში.

--თქვენსა სართ, უფალო მერო? ჭკითსა მას მონოზანმა, დაინასა რა ქანვალქანი.

რასა იქს თქვენნი ავათყოფი? ჭკითსა მას ვალქანმა წენარის სმით.

--ესლა ცოტა უკეთ არის, მიუგო მონოზანმა, გუშინკი ძნელათ იყო, და როდესაც უთსრეს იმას, რომ მადელენი წავიდა შენის ბავშვის მოსაყვანათა, იმ დროს აქეთ უკეთ არის. მაგრამ თუ იმან შეიტყო, რომ ბავშვი არ მოუყვანიათა მაშინ არ ვიცე როგორ იქნება საქმე, მოტეუება იმისი ახლა აღარ შეიძლება. ფანტინამ გაასილა თვალები და დაინახა რა მადენელი, ჭკითსა მას სრულინ მოსვენებულის სმით და მღიმვარებით:

--ჩემი კასეტა? მე ვიცოდრი რომ თქვენ დაბრუნდით. მე დიდი ხანი თქვენსა ვსედავთ;

მთელი ღამე გსედავდით მე სიზმარში. თქვენ იუაჳით დიდებაში, გარე შემორტეული ანგელოზების დასით.

ვალჳანმა გადასედა მაშინ ლმობიერებით ჳვარცმასა.

--მაგრამ მითხარით, რა უეაჳით ჩემი კასეტა? რატომ არ დაძისჳით აქ გვერდით. როდესაც მე გამოძეღვიბა მე იძას ჩაჳიკრავდი გულში.

ვალჳანმა მიუგო რაღაც მოგონილი, რომელიც თითონაც აღარ ახსოჳდა შემდგომში.

იმ დროს მოვიდა აქიმიცა.

--მოსჳენებით იუაჳით შვილო, უთხრა იძას ექიძმა, თქვენნი ქალი აქ არის.

თვალი ფანტინასი აენაენ. ძან დაიკრიჳა გულსელი და მით გამოსატა თჳსი ვედრება-- ვედრება მსურებალე და მოკლე.

ოჳე თუ აქ არის მოძგვარეთ ესლავ, ღჳთის გულისათჳს.

სამჳუხარო შეცთობილება საცოდაჳის დედისა! იძისთჳს კასეტა იუო ისეჳ ისე ჳატარა, ჩხვილი, როელიც დაჳეაჳთ სელითა,

--არა, უთხრა ძას ექიძმა: ესლა მოჳუანა

არ შეიძლება. თქვენ ავითა ხართ, იმის ნახვა
ძრეულ გაფნებსთ ვერ უნდა უკეთ შეიქნეთ.

მე კარგათა ვარ, მე არა მიჭირსრა, უთხრა
მას ამაყათ ფანტინამ. რა ბრევი რამ არის ეს ექიმი,
გესმისთ თუ არა უ. ექიმი, მე უთოვოთ უნდა
უნახო ჩემი ბავში, ჩემი სიცოცხლე, ჩემი იმედი.

--აი როგორა ჯავრობთ, უთხრა მას ექიმმა,
მანამ მგ მღვმოიარებაში იქნებით, მე თქვენ
ნებას არ მოგცემთ ბავშვის ნახვისასა. ეც ცოტაა,
რომ ის ნახოთ, უნდა ცდილობდეთ რომ იცოცხლოთ
კიდევ იმისთვის. როდესაც თქვენ შეიქნებით
უფრო ჭკუიანი, უფრო კეთილ გონიერი, მაშინ
მე თითონ მოგვრით თქვენს ბავშვსა.

--მომიტევეთ დოკტორო, ღუთის გულისათვის
შემინდეთ, უთხრა მას ბოლოს შეწუსებულმა ფან-
ტინამ. მე უწინ ვერ ვაგებედავდით იმას, რაც
მე თქვენ ესლა კვადრეთ, მაგრამ მომიტევეთ, მე-
რწმუნეთ მე თითონ არ მასსოვს სოლმე თუ რას
ვიტევი სოლმე. ხან და ხან, მე მესმის, თქვენ
ფიქრობთ, რომ მე კასეტიის ნახვა უფრო ამა-
ლელებს, მაგრამ ღმერთს გეფიცებით მე უკეთ
შევიქნები მაშინ, რომ იმისი ნახვა იქნება ჩემ-

თვს კარგი წამალი. აბა გამოსცადეთ, მჩვენეთ, ნასაუთ რა რიგათ წენარათ დაუწყო მე იმას ალერსი, რათ უნდა ციკვირდესთ, რათ უნდა ჯავრობდეთ იმაზედ, რომ საცოდავს დედასა სურს საუვარლის ძვლის ნახუა. მე ამას გაჯავრებით არ ვამბობ. მე ვიცი, რომ შევიქნები სრული ბედნიერი როგორცკი მე თვალით დავინახავ, ჩემის თვალის სინათლესა. მთელს ღამეს მე ვსედავდი ვილასიც ბრწეინვალე დასსა, რომელნიც მე შეცდურათ მიცინოდნენ. მე აღარ მაცვივებს. მე სრულიად კარგათა ვარ. მე ვგაძნობ, რომ აღარაფერი აღარა მტკივარა; მაგრამ თუ მეტუვთ მე ისე დავეწვები ისეუ, როგორც ავამთყოფი; ამით მე შევძენ კმაყოფილებას ქალებსა, რომელნიც მე მივლიან: ისინი ნახვენ, რომ ასე წენარათა ვსწევარ და იტუვიან: «აი ახლაკი დრო არის ბავშვი ვაჩუწნოთო.»

უ. მაღელენი დასჯდა სკამზედ მახლობლათ ავამთყოფისა. ფანტინა გადაბრუნდა იმისკენ და ცდილობდა ეჩუწნებინა თავი კეთილ კონიერულათ და მოსვენებულათ, მაგრამ ვერ მოითმინა და მისცა მაღელენსა მრავალი სსუა და სსუა კითხუა:

--კარგათ მოიარეთ, უფალო მერო! ოჰ რა კეთილი კაცია სარტ! მითხარით მაინც როგორ არის ჩემი ქალი, სომ კარგათ აიტანა მგზავრობა? ის მკონია ველარ მიცნობს მე! იმ საცოდავს უთუოთ დაავიწებოდან თავისი უბედური საწყალი დედა! ბავშვებს თითქმის სულ არა აქვსთ მესხიერება. ისინი არიან როგორც მფრინველნი. დღეს სხუასა სედვენ, სხალ სსუასა და აღარაფერი აღარ ახსოვსთ შევისათვს. ჰქონდა იმას სუფთა საცყალი? ფაქისათ ჰქუნდათ შენასული ტენორდებისა? როგორა ჰქუტბდენ? ოჰ, რომ იცოდეთ თუ რა რიგათ მკლავდა ჩემს სიღარიბეში ეს ფიქრები! ესლა განვლო იმ უბედურმა დრომ ჩემთვს. მე სრულიად ბედნიერი ვარ. ოჰ, რომ იცოდეთ უ. მერო, ოუ რა რიგათ მინდა იმისი ნახვა! განა, ლამაზია, დასტულია ჩემი ქალი უ. მერო? სომ არ შეგცივინათ დილიყანსში? თუ შეიძლებოდეს ერთს, წუთს მაჩვენეთ, ერთი შემახედეთ, და მერე თუ გინდათ ისევ წაიუჭანეთ. სომ თქუტნა სარტ აქ სასლის უფროსი?

მადელენმა მოჰკიდა კელი ფანტინას.

--კასეტა ძრეულ ლამაზიც არის, ძრეულ ძრთე-

ლათაც არის, თქვენ ძრეულ ძაღვ ნახავთ იმასა, ეცადეთ მოსვენებით იუთ, ძრეულ გულიანათ ლა-
ზარაკობთ იმაზედ, ეს ძრეულ გაწეენსთ, იმას გა-
რდა კვლებს იურით საბნიდამ და იმასთვს გას-
ველებსთ აგრე ძრეულ.

ძართლათ სძირი სველა სძირათ აწვეუტინებდა
ლაზარაკსა ფანტინასა.

მაძინ ფანტინას შექმინდა რომ არ ამოეფხვრო
ის დარწმენება, რომელიც მან განაღვიძა და გა-
მოსცვალა ლაზარაკი?

რას იტყვით უ. მერო, მონაფერმენი ძალიან
კარგი ჯდგილია ვგონებ. საფსულში იქ ბევრნი
მიდიან სასეირნოთა. როგორ არის ტენორდების
საქმე? ვგონებ ძალიან ცოტა ხალსი დადის იმათთან.

უ. ძადელენს ეჭირა ისევე სელი ფანტინასი და
უეურებდა მას მწუსარებით, ცხადი იუო, რომ იმას
უნდოდა მისთვს რილასიც თქმა და ვერა ჭებდავდა.
იმ დროს ექიმიც წავიდა შინა და დარჩა იმათთან
მონოზანი.

ერთს დროს უცეუ ფანტინამ წამოიძასა:

--მე მესმის კასეტას სძა. დმერთო! სწორეთ
იძისი სძაა.

ანიშნა ეველას, რომ დახუმებულ იქნენ, შეიკმინდა სული და უკვდებდა ეურსა.

ეზოში მართლათ ვილასიც ჰატარა ქალი დარბოდა იმ დროსა, იცინოდა და იძვებდა, და აი იმისი სმა გაიგონა მაშინ ფანტინამ და იყო დაწმუნებული, რომ იძვებდა იმისი კასეტა.

ბოლოს ბავში გაიქცა, აღარ ისმოდა აღარავის სმა, ფანტინა უკვდებდა ცოტა ხანს კიდევ ეურსა, და შეექმნა ბოლოს სასე მოწვენილი. მადელენმა გაიგონა რა რიგათ ფანტინამ წაიბუტბუტა: «ოს! რა ავი კაცია ის ექიმი, ნებას არ მამღვეს ძვლის ნახვისას, გაგონილა ესა! სასეც საშინელი ავი აქუს იმ უწებლოსა!

მერე უცეფ გამსიარულდა ისევ და მოჭეუა საუბარს თავის თავთან: «ოჰ, რა ბედნიერი ვიქნებით მე და ჩემი ძვლი! ჰირველი ეს, რომ ჩუტნ კვექნება ბაღჩა, ეს აღკვითქუა უფაღმა მადელენმა. ახლა კასეტას ეცოდინება უთუოთ ასოები და მე იმას ვასწავლი კითხვასა. კასეტა დაუწეებს ბალახში ჰეჰელებს დევნასა და მე დავტაბები იმისის ეურებით. გარდა იმისა ვასიარებინებ წმიდა საიდუმლოსა, და ეს ჰირველი იქნება

იმისი ზიარება. დაიცა აბა როდის შეუძლიან იმას ზიარება?

ავათ შეოფმა დაიწყო თვლა თითებზედ: ერთი, ორი, სამი, ოთხი... ესლა ის არის ძუღლის წლისა. სუთის წლის შემდგომ, მაშინ იმას ეცმის თეთრი კაბა, სასიანი ჩულქები როგორც დიდს ქალსა. საეჭარელო დაო, უთხრა მონაზონსა, თქუენ არ იცით რა სულელი ვარ მე, აი მე ესლა ვფიქრობ იმაზედ, თუ როგორ ეზიარება ჰირველათ ჩემი ქალი. და ფანტინა მოჭეუა ხარხარსა.

მადელენმა გაუშვა კელი ფანტინასი. ის უგდებდა მას ეურსა, როგორც უგდებენ ეურს ქარის სმასა, თვალი დასრილი და დაფარული ფიქრების უფრსკულში, და უცეფ ფანტინამ გაკმინდა სული: მადელენმა აიღო მადლა თავი. ფანტინა თითქო აღარა სუნთქამდა; წამოიწია ლოგინიდან და გამოიჩინა თავის გამხდარი მხარი; სახე იმისი, რომელიც ერთის წამის წინეთ იყო ისე მხიარული, შეიქნა მწუსარე, და თვალნი შიშისაკან უძრავნი, მიიმართნენ ოთასის კუნჭულისაკენ. ღმერთო ჩემო! რა დაგეძართათ, ფანტინავ? ჰკითხა მას მადელენმა.

მან ვერ მიუგო ზასუსი, და ვერ ამორებდა თვალსა ერთს ადგილსა; შეესო რა ერთის სელით მადელენის სელსა, მეორეთი ანიძნა ის ადგილი.

მადელენმა შეისედა იქითკენ და დაინახა ჟოვერი: ფანტინას არ ენახა ის იმდროდინ, რაც მადელენმა განათავისუფლა ტუსალობილამ. ავითმოფმა წარმოიდგინა, რომ ჟოვერ მოვიდა მაშინ იმის დასატუსალებლათ, აიტანა შიშმა, დაიფარა ორივე სელები თვალებსედ და დაივიწროა:

--უფალო მადელენ, მიშველეთ.

ქანვალქანი ადგა და უთხრა ფანტინას თუთ მშვიდობიანის და მოსვენებულის სმით:

--დამშვიდდით. ის თქუწნთჯს არ მოსულა. შერე მიუბრუნდა ჟოვერსა და უთხრა: მე ვიცო, რაც გინდათ თქუწნა. ჟოვერმა შესძახა: თუ იცითა აბა საჩქაროთ მომევე.

წინააღმდეგ თჯსის ჩვეულებისა ჟოვერმა არ აუხსნა მას მიზეზი თჯსის მოსვლისა. ჩუწნ ვიცით, რომ ქანვალქანი იყო მისთჯს თავიდგანვე კაცი რაღაც საიდუმლო, წინააღმდეგო, რომლისაც დათრგუნვას ის ამოდ ცდილობდა სუთის წლის განმავალობაში. ასლა იმისთჯს იმისა დატუსალება

იყო არა დასაწყისათ, არამედ დასასრულათ იმ ბრძოლისა და მან მსოლოდ უთხრა მას, აბა მომეკვ, ეს უთხრა ჟოვერმა ისე, რომ აღგილიდამ არ დამრულა; იმან მსოლოდ გადასედა ვალჟანსა სასტიკის მბრძანებლობითის თვალით.

ჟოვერის სიტყვებსედ ფანტინამ გაასილა თვალ-ები; უფალი მერი იღვა იმის კვერდსედ, მაძა. სადამე იმას არა ჭქონდარა იმდროს სამწუსარო, ჭფიქრობდა ის მაძინ თავისთვს.

ჟოვერმა გადმოსდგა რამდენიმე ნაბიჯი დაშეჭვირა: მოდისარ თუ არა? საცოდავმა ავათ მეოფმა მიიხედ-მოიხედა, გარდა მონაზონისა და მერისა, ოთახში ვერა ვინ ვერ დაინახა. ვის ეუბნება: «შენაო» იფიქრა ფანტინამ. ვის გაუბედავს ჟოვერი შენაო, თუ არ მე. არ არის ეჭვი, ფიქრობდა ის, რომ ჟოვერ მიბრძანებს მეო, და ათრთოლდა მთელის ტანით.

--ერთის წუთის შემდგომ ფანტინამ ნახა ისეთი რამ სანახავი, რომელიც არ უნახავს მას თვთ ძლიერს თვისს ავათ მეოფობის როტვაში.

ჟოვერმა სტაცა ხელი მერსა საეელოში.

--უფალო მერო, წამოიევირა კვნესით ფანტინამ,

რას ვხედავ მაგას?

ქოვერი მოჭევა მაშინ სარსარსა:

--აქ აღარავინ არის ამას იქით უფალი შერი!
სთქვა ქოვერმა.

ქანვალქანი არა ცდილობდა განთავისუფლებულ-
იყო ქოვერის ხელიდან, მან მხოლოდ უთხრა მას
სასტიკათ:

--ქოვერ.....

ქოვერმა შეჭევირა: რატომ უფალს ინსპექტორს
არ მეძახი? როგორა ბედავ დამიძახო ქოვერო!

--მე მინდოდა შეთქვა თქვენთვის რამდენიმე
სიტყვა ჩუმად, განაგრძო ვალქანმა.

--მითხარ სმა მაღლა! რის ჩუმათაო? რა
საჭიროა ჩუმად თქმა! მე ეგელა სმა მაღლა შეუბ-
ნება თავის სათქმელსა.

--მე მაქვს თქვენთან სათხოვარი, უთხრა მას ვალ-
ქანმა დაბალის სმით.

--მე შენ არ გითხარი რომ მაღლა სთქვი
შეთქი!

--მხოლოდ თქვენ მარტო უნდა გაიგონოთ ის,
რაც მე მაქვს თქვენთან სათქმელი, განაგრძო
ვალქანმა.

--მე რას დავსდევ, ჩემოჯს სულ ერთია! ჟანვა-
ლქანი მიუბრუნდა და უხსრა ჩურჩულით:

--მომეცით მე სამის დღის ვადა. მხოლოდ
სამი დღის, რომ წავიდე და ამ საცოდავს დედან
მოვკვარო თავისი ბავშვი. თუ გინდათ წავიდეთ
ერთათ.

--შენ მგონია დამცინი მე, შეჭყვირა მას
ჟოვერმა. მე არ მიძინია თავი აგრე სულელათ,
როგორც შენ მგონია შენ მთხოვ მე სამის დღის
ვადან; გინდა რომ გამიძვრე სელიდამ განა?
შენ მეუბნები რომ-შენ გინდა წასვლა ამ გოგოს
შულის მოსაუვანათა. ხა, ხა, ხა, ეს ძალიან
კარგი ანბავია! ფანტინა ათრთოლდა.

--ჩემის შულისა? როგორთუ ჩემის შულისა?
განა ის აქ არ არის? ჩემი კაზეტა მამ აქ არ
არის? ეს რა შესმის? მონახონო! მითხარ: სად
არის ჩემი კაზეტა, ჩემი სულის დგმა? მომკვარ-
ეთ მე ჩემი ბავშვი, უფალო მერო, ჩემი ბავშვი
მეთქი?

ჟოვერმა დაუბაკუნა ფესი: ჩუმათ მეთქი ეშმაკის
კერძო! შეჭყვირა მამაკვდავს ფანტინასა.

დროება მოვიდა? ტუსაღები სდებიან მერებათ,

და საქვეურო ქალებს უვლიან, როგორც გრაფინე-
ბსა. მაგრამ ეს ეველზფერი შეიცვლება, დრო
არის შეიცვალოს.

მაშინ დაასო თავისი მსეცური თვალები ფან-
ტინას, და მოიკრიფა რა ერთათ სელში, საუელო,
ველსახვევი და ჰერანგი ყანვალუანისა, უისრა
ფანტინასა: მე შენ გეუბნები რომ აქ აღარ არის
აღარც უშალი მადელენი, აღარც მერი, აქ არის
მსოლოდი ავასაკი, ტუსალი ყანვალუანი! აი ეს,
რომელიც მე მაგრათ მიჭირავს.

ფანტინამ იმდროს წამოიწია ზეზედ, დაეუდა თავის
გამსდარს სელებსა, შეხედა ყანვალუანსა, ჟოვერსა,
მონაზონსა, გააღო ჰირი, უნდოდა ეთქვა რაღაცა,
მაგრამ გაუწედა უცეფ სმა, მოუჭირა კბილები,
მერე დაეცა გულ დაღმა დაშრეტილის თვალებით
და განუტევა სული.

მაშინ ყანვალუანმა სტაცა სელში ჟოვერსა და
მოუგრისა რა როგორც ბავშვსა, უთხრა: თქუწნ
მოჭკალით ეს ქალი.

--კმარა მაგდენი ებედობა, შესძახა ჟოვერმა
ცოფიანის სმით: მე მოვსულვარ აქა, არა ზღაპ-
რების მოსასმენათ, არამედ შენ წასაუვანათ, ან

წამაძევე და ან ესლავ ვუბანებ ეარაულებს, რომელნიც ძირს ვვიცდინა, რომ შევიყარონ ესლავ რკინის ბორკილები.

ოთახის კუნჭულში იდგა რკინის კრაოტი, რომელიც მსასურებდა მგსავრობის ქვემსაგებათ მონასონთა, როდესაც იმათ ჭევიანდათ ჩაბარებულნი მოსავლელათ ავათმოფუნი. ჟანვალქანი მივიდა იმ კრაოტთან, ერთს წამში დაძალა ის, მოსტესა ფეხი, დაიჭირა სელში და შესედა ჟოვერსა. ჟოვერს წაუვიდა ფერი და გადასტა კარებისაკენ.

ჟანვალქანი, არა გამძვები სელიდამ იმ რკინის ჯოსისა, წენარის ნაბიჯით მივიდა ფანტინას კრაოტთან. მერე მიუბრუნდა და ძლივს გასავონის სმით უთხრა ჟოვერსა:

--მე გირჩევთ, რომ ამ წამში სელი არ შემასოთ მე, თორემ ინანებთ.

ჟოვერს დააწეებინა კანკალი.

ჟოვერმა იფიქრა, რომ დაეძახნა ეარაულების-თვს, მაგრამ ვერ გაბედა, ეძინოდა, რომ ვალქან არ მიძალულიყო სადმე, იმან აიღო ჯოსი სელში, მიეუდა კარებს და არ ამორებდა თვალს ჟანვალქანსა.

ჟანვალქანმა ამოუღო სელი თავში მიცვალებუ-

ლსა, და უუურა დიდხანს, უძრავათ მდებარეს ფანტინას. უუურებდა ძრეულ მწუხარე, ძრეულ დაფიქრებული. ცხადი იყო, რომ ის ფიქრობდა იმ დროს არა ამ ქვეყნიერობაზედ. მთელი იმის ხანის მეტყველება გამოხატავდა იქდროს აღუწერელს სევდას და მწუხარებასა. შემდგომ რაოდენისამე ხნის ფიქრებისა, ის დაეუდა და დაუწყო მკუდარს რაღაც ჩუმათ ჩუჩხული.

რა უთხრა? რა უნდა ეთქვა მუკედრისათვის იმ საცოდავს ტანჯულს კაცსა? რა სიტყვები იუუნენ? არავის გაუგონია. ნეტავი განსვენებულმა მანც გაიგონა ის სიტყვები?

ქვეყანაზედ არსებობენ ღმობიერნი შეცთომილებანი; მაგრამ ვინ იცის, იქნება ისინი არცკი იუუნენ შეცთომილებანი, არამედ საკვრველნი ჭეშმარიტებანი.

მონასონი, რომელიც იყო თვალით მნახველი იმ შემთხვევისა სძირათ იტყოდა ხოლმე შემდგომში, რომ როდესაც ჟანვალჟან ჩასჩუჩხულებდა მკუდარსა ეურმა. ის სედავდა ცხადად, რომ ფერმკრთალს ფანტინას ტუჩებზედ გამოჩნდებოდა ხოლმე აღუწერელი ღიმილი, და გაიელვებდენ ხოლ-

მე თვალნი მისნი, სავსენი განკვირვებით საუკუნობის წინეთ.

ბოლოს უახლესანმა ორივე სულით აუწია თავი ფანტინასა, გაუსწორა ბალიში, როგორც დედა უსწორებს თავის მძინარეს ძვლსა, შეუკრა ჰერანგის საკინძი, მოუკრწოვა თმა ჩებჩიკში და დაუსუჭა თვალები.

იმ წამში თითქო რაღაც ნათელი ადგა ფანტინას გვაძსა.

სელი ფანტინასი კადმოეძვა ლოკინიღამ. უანვალუან დასდგა მუსლსედ, გაუსწორა ფრისილათ, მერე ადგა, და მიუბრუნდა რა ეოვერსა, უთხრა: აი, ხსლა კი სრულს თქუტნს განკარგულებაში ვარ.

ეოვერმა გაგსაუნა იმავე წამს უანვალუანი ქალაქის საბურობილეში.

მადელენის დატუსხლებაშ აწარმოვა ქალაქში რაღაც ნაირი მოქმედება. თუმცა სამწუსაროა, მაგრამ უნდა გამოვსტედეთ, რომ, როგორცკი გაიგონეს, რომ ის იყო ტუსაღათ მეოფი, ეველამ კელი აიღო უანვალუანსედ. ორის საათის შემდგომ ეოველი კეთილი, რომელც ექმნა მადელენსა, დაივიწუეს. ესკი უნდა დაუმატოთ, რომ რაც

✓ შეჯიბ.

ტრაგედია სამს მოქმედებად.

(სათარგმნი).

ივ. კერესელიძისა.

1863 წელს.

მოქმედნი ზიარნი:

გ რ ე რ ი. კოჩინთის მუფი.

გ რ ე უ ზ ა. ამისი ქალი.

ა რ ფ ე ი.

ი ა ზ რ ნ.

მ ე დ ი ა.

გ რ ე უ ზ ა ს ძიძა.

ანაღვანდა ქალი.

დ ი ბ ა რ ი.

მ ე ჯ ა ნ ტ ი.

კოჩინთის ქალაქის მცხოვრებნი, სასახლის მოსამსახურენი. მონანი, გრენის თანამხლებენი.

იაზონის და მედიას შულები.

მოქმედება აჩის კოჩინთის ქალაქში.

(*) წადგანც საბერძნეთში, რომელსაც ეს მოქმედებას, მაშინ მრავალმეტრობა მიღებული იყო, ამისათვის მკითხველი ამ ტრაგედიაში შეხვდება ხშირად «დემეტრის» მრავლობითს რიცხვში მოხსენებულთ.—კ.

მ ე დ ი ა.

მოქმედება 1.

სტენა წარმოადგენს მოედანს კორინთის ქალაქის აღაუფის კარების შესავალთან; მარჯვნივა აქვს ზეთის ხილის ტაძარს, მარცხნივა დგას გამოქანდაკებული სახე დინასი, ტაძარის შესავალს გზასთან, რომელსაცა მუხრებულნი ვერა ხედავენ. სტენის პირდაპირ სიღრმეში მოჩანს ქედი, რომელიცა დაქანებულია ქალაქის მხრისაკენ.

გამოსვლა 1.

ფარდის ახდის შემდგომს, დგას გრეონი და ხალხი გარს შემოხვევია ორფეის; გრეონის მარცხნივ მხარეს უდგას, იასონი.

გრეონი. (ორფეის) ძლივს შეღირსა შენი ნახვა, მოკვდავ, დმურთების საუკარელა; კელახლად შენის ნახვის ნება მოგვცა ტებმა. რამწავს, შენს დმბრუნებაზედ განისმა ხმა ხალხში, იწამსვე გამოკუშურე მოსაგებებლად; მოსაგებებლად ჩემის ხალხის კეთილის მოქმედისა.

ორფეი. უმატოვცემულესო გრეონი, საუჩრებლნო კორინთელნო, რით შევიძინე ჩემდამო დამოკიდებულობა, რომელიცა გამომეტყველებს თქმწინის თავადებითგან?

კ რ. ორფეი, ერთი მხლად შენი დაბრუნება, არის
 ჰინკელი მოწვევა. ჩუწნ გვინდოდა შენი აქ მოწვევა.
 ხვალ, რა განიმშვენებს თავს ქორწილის გვირგვინით,
 საყურადღებო ჩემი ასული, დაუტყვებს სახლს, რომელიც
 იყო იმის აკანა; წინათმხედველმა სიყურადღებო ჩემმა
 ამ ქორწილისათვის აღმოაჩინა მთავრის შეოთხე დღე,
 რომელ დღესაც გემსახურებით ვუნერსა. ამასთანავე მსხ-
 ვერზღნი გვიწინასწარმეტყველებენ რაღაც უბედურებასა
 და შეტრდობას, მაგრამ შენის დაბრუნებით გვეძლევა
 იმედი და, როდესაც შენ ჩუწნთან ერთად გილოცავთ,
 მაშინ დამშვიდდება რისხუა ღმერთებისა, ამისთვის რომ
 გორიფეის გალობას, გუნდრუგის კვამლს და ჩუწნს
 ღოცას აღაუყენს ცათმდე ორფეის ხმა.

ი ა ზ. რამოდენს ზატის მიაზერობენ მშინვარებასედ
 მათამაშეს. ქა, ვრეონი, ზოეტს რომ აგრე უაღერსებ, მამ
 რეგორსა ზატის მიაზერობ მამაცს მხედარს?

კ რ. იაზონ, მე ვიცი შენის გაჟატობით რეგორც
 დავალებული ვარ; მხლად შენ გამიხსენს ვტრის
 გელთაგან ესე გიდენა; ჩუწნ გვანსოვს, რომ მონრე შენ
 გემაზები, მგლები, საშინელი საკვირველებები და შეაყენე
 გამაოხრებელი მდინარე შემოსავალშივე!... ესე გამარჯვება
 უწარჩინებულესია! მაგრამ შენს სახელთან, უნდა დაილო-
 ცებოდეს ორფეის სახელიცა.

ი ა ზ. (დაცინებით). მამ დაესენ მაგან მოგაწოდეს
 შემწეობის გელი და დასტეს მთის ხალხის მრისხანება.

ო რ ფ ე ი. (დამშვიდებით) იაზონ, გარწმუნებ, რომ
 შემელო გამომეტადა ეგ დიდი საქმეც.

ი ა წ. როგორ! შენის ჩანგის შემწყობით?

ო რ ფ. და რამდენისაზე ჰურის მარცვლით.

ი ა წ. შენს სიტყვებში ყოველთვს რაღაც სიღრმეა
აზრი უნდა იყოს.

კ რ. რა გსურს თქმა მაგითი?

ო რ ფ. როდესაც, იმ ალაგს, სიღრცა მთის ხალხნი
გამოიკვებებიან ტყის ხილითა, ანუ მოტაცებულის საზრ-
დითი, ჩემს მოგზაურობის დროს მიმეყვასს განგება,
მაშინ ვახყენებ მე იმათ ჰურსა: რა იკემუკენ, მომთხოვენ
მეორეთ; შემოდანი მოგცე თქუწნ ათასობითა მეოქია,
ვეტყვი და დავანახებ ჰურის თესლს; რა მოკლე
განცვიფრებაში, დაუწყებენ სინჯვასა; მაშინ დაუმატებ
გიდეუ ამას და ვეტყვი: მიანდეკით ეს თესლი მიწასა და
მოგეტყვით ათასობით ჰური. როდის? ხვალ დილითა?
მომიგებენ, — არა, ჯერ უნდა შეიმუშაოთ მიწა, უზსუხებ.
ამ უკანასკნელ სიტყვასედა დაიწყებენ მომჭირნობას,
მუშაობას; მთის ხალხი დარჩება ალაგობრივ. კარგები
შეიცვლებიან სოფელიურ სახლებათა. ჩემის ხელთ მძღვანე-
ლობით გაიმართამენ მიწის იარაღსა რკინულისაგან.
რამდენიმე დროების განმავლობის შემდეგ, ერთს დილას
დავინახავ რა ყანის ახალგაზდა თავთავს, ვეტყვი:
მიუძღვებით დმერთებს მადლობა და, ამ სიტყვასედა
ვნახამ, რომ ახლად აღმოცენებულს მწკანე ბალანსედა,
ქოხებისაჩლოს, აღიმართებიან სამსხეურ ზღონს; შრომა,
დმეთის მსურება და ქორწილები, შესდგება ქალქის
დაფუძნება, სახლკარიანობა და მოქალაქური წესი, — ესე
ყოველივე აღიზრდება ერთის მცირის ჰურის მარცვლი-

თვან, ჩანგის ხმაყედ.

ი ა ზ. დიდო დამაფუძნებელი, მაშ კგენი აჩიან შენი საქმენი?
 ო რ ფ ე ი. დინ, მე დამაფუძნებელი ვარ; კგ მართალი
 თქვ. რამდენჯერ მამხლომია, როდესაც ვისუფლარ დამ-
 შუდებულს მალათ მთების წვეკებსედ და დამხედავს
 ზევიდგან გელისპონტის კუნძულსედ, რომელსედაც
 დარემია მზის შიდაგანდი და უმელეკარია. მითქვამს:
 ეჭა! თქვენს უდაბურნო მთანო, ეჭა თქვენს კანო ოგი-
 ნის გულისა მქონენო, ერთობ თქვენს ჩემნი იქნებიო
 და, როდესაც განათლდება კოჩინთა, მუზა გასწევს
 ნაკოსისა, ღელოსისა, ზანტისაკენ; დასთესავს ყოველგან
 ჰუქსა და განათლებასა, ისე რომ, მუზა ჩემი როგორც
 მასწავლებელი და განმანათლები თავისს უმალესთ კი-
 დეოგან იქნების მქადაგებელი ჭეშმარიტებისა, რომე-
 ლიცა ღმერთებსა ჩამოთესეს ჩემში. მამინ, იზონ, კანნი
 სადღესასწაულო დღეებში დაიწებენ პოეტის კურთხე-
 ვასა და შეადარებენ იმ ღინას, რომელმანცა დამშვიდა
 კელერი კანობრიობა და პირიტოემს, რომელმანცა დამო-
 რჩილა ღამი. მოგითხრობენ იმ ტარულთ პირეტეკე-
 ბსედ, რომელნიცა ღმობიერ ჭეო ჩანგმა. იმათ უკან მდევ-
 ნელმა; მდევნელმან კელეთა და ქალაქებთა შორის, რომე-
 ლნიცა აღშენდებინ ჩანგის ხმაყედ. მაგნამ რას განობ შე-
 ამას? მუზამ გაშიტაცა მომავლის დროებისკენ.....
 ვილანაჩოთ ჩვენს შინაურს საქმესედ, ჩვენს კრეუ-
 ზასედ.... შენ მე შელანაჩაკებოდი წელან ქორწილსედ?

ე რ. სწორეთ!

ო რ ფ. წელანა ბძანებლით, უგვლუ ღმერთების მრისის-

ნება შემუქარება... ვინ არის საქმის?

კ რ. შენ ვერ მიხვდარხარ?

ლ რ თ. ვერა.

კ რ. (იარაღსუდანიშნებს). აი, ეს?

ლ რ თ. იარაღი?

ი ა ზ. (ამხატვარებით). დიან... შე...

ლ რ თ. ეს კრეკუნას საქმისა? ეს?

ი ა ზ. (ჩუმად ღრუბის). ხმა გაიშალა!

კ რ. რა ანბანია? რისათვის გაუვითლდით, ან შენ, და ან ებ?

ლ რ თ. ეს შეფუთა, ნება მიბრძოლეთ რამდენსამე ხანს მისთვის არა მოგახსენოთ რა და, ამასთანავე გიხსენებთ შეისმინოთ ერთი წიგნი: აქ ახლავს; არ არის ჩვენსუდ მომარებით იმყოფება რეპროდუქციის ანტიკონსერვაციის ქერუმი, რომელსაც ქუა ლიკვი, ის საკვირველს რეკავს აქვეს უკველს მსგავსად; ვინცა მივა რჩევის საკითხავად. მიბძნდი და მოახსენე უმადლეს მღვთაშობას შენთვისაშრება. მინამ თქვენს დაბრუნდებით, მე გამოვიძიებ სამსუქრებლას და გაცების გულში წავიკითხავ მიხეხს, რომლით განადვიებს ღმერთების რისხვას.

კ რ. შე ვემოწმებლები შენს თხოვნას. (გადის თავისის აშლად და ხალხით).

გამოსულა 2.

ღრთუი და იარაღი.

ლ რ თ. კრეკუნას რომ იტთავ, შედის; შენს სჯულიერს ტოლს, რადან უუბნები?

ი ა ზ. შენებრად ვაგ საზინდლავმა სახელმა ჩემი სმენა;

იმას უნდოდა განმეორებოდა და დამიტევა კიდევ. შენ
უნდა გაუშო ის ცოლი, რომელსაც შენ სჯულიერად სხსავ.

ო რ ფ. ვერასოდეს ვერ გაუშვებ!

ი ა წ. (ამაყად) რატომ?

ო რ ფ. რატომ! ჭმ! ვის ეუბნები მაგას, რომელსაც
რომ შე ვიყავი ამხანაგი თქვენის საშინელ მდგომარე-
ობისა და ვიცი ყოველივე; თუმცა შენს ცოლს გული
ამხარტავანი აქვს, მაგრამ ძვირად მადლივი; იმას შენ
უყვარდი გაგიუბით, ისე უყვარდი, რომ დამნაშავეთ
რინესაც ვი შეიქვარ; შეცადინებოდა, გაიქცა და ყოველი-
სვერი დაიწყო შენთვის; მოკამყამო ცის თანადსწრებით
შეისმინა შენი აღთქმა, საბერძნეთსა და ითხოვა სამშობლო
ქვეყნიდგამ; თავის ყოვლად უბედურს და ყოვლად სამ-
წუხაროს სიტყვებში შენა ხარ მხოლოდ ერთი იმისი
იმედი, იმის უზღუბის ნუგეში..... ოჰ! არა; იმას არ
შეუძლო და არც შეუძლიან შენი დატევა. ფეხიდა,
იუნონა, საკუთარი შენი გული, რომელიცა ახლა გიდე-
ლავს საიდუმლოს ძველჯარებით და თვთან შე, ერთათ
მოვითხოვთ შენგან ჰასუსს, გვითხარ სწორეთ: სად
დაუტევე შენი მედია და რასათვს?

ი ა წ. უმჯობესია შეითხოვ შე, რომელმაც სასტიკმა
ეშმაგის ძალამ მაცდინა და ამომარჩევინა იმისთანა
საცოლო; იმასვი ნუ შეითხავ და ნუ იკვირვი რისათვისაც
თავი დავანებე.

ო რ ფ. თავი დანებე! შენ? სად? როდის? როგორ?
რისთვის?

ი ა წ. რისთვის? მაშ შენ არ იცი, რომ წყვეს, კვლავ,

სისხლი, საშინელება უკან დასდევს იმას, სითაც მიდის. იმის სხედის ხსენებაზედ ისე გამაგანებალებს ხოლმე, როგორც სახელი ეგემნიდისა? რომ ყოველი ქვეყნის მხარე ახლოს არ იკარებს? ასსირტის სიკვდილმა განადგობა ფრავია იმის წინაღმდეგად; ზედიას სიკვდილმა დაუნძო იმას საბერძნეთის კარი. რამწავს მოუხლოვდება ხოლმე რომელსამე კადეს, იმ წამსვე ხალხი, როგორც მეს-დაცემული დაწვებენ უაყნს, თითქოს ჭირი ანუ ჯარი დაესიარა; სკამაოა, დავიღბლე. იმ დამღუპვ ღედაკატისათანა, თითქოს ახლაც საზოგადო საშინელებასა ვხედავ. აჲ, ამისათვის ვერბები და ვშორავი.

ო რ ფ. ეს რა შესვის! ოჲ ქვს გულა! განა შენ ბედამ მატყსაცა და აუკედრი ბორბოტ მოქმედებას! მე რე ვინ იყო მიხეცი მაც საშინელის ბორბოტ მოქმედებისა? ვინ იყო იმისი მხვერვლი? ვინ ისარგებლა იმისის ნაყოფით? შენ მიიტაცე ის საბრალე თავისის უდაბნოსაცან, ვინ იტის რომლის ზღვებისაკენ. ის იყო წმინდა, მშვენიერი, ბედნიერი; იმის კეკლეუტს სახეზედ მანათობდა თავისის გულის უმანგობითი სიმამაცე. შენ მიაცხე ხალი შენის უგუნურის სურვილით. შენის ზაცვივის მოყვარეობისათვის, ისარგებლე აზრიალებულის სიყვარულით, რომელიცა იმის გულში იგზნებოდა, და როდესაც საცოდავს სიყვარულისგნით დაბრმავებულს, შენ კრჩივნე ყველას რაც ქვეყნაზედ არის რამ, უორგულა მამას, დატუკა დალა, და როგორც თავის ქმუნნიდამ ექსორია ქმნილი გაიქცა უტხო ქვეყნებისაკენ, სადაცა შეიქნა საგანად საშინელებისა და საშიშროებისა. წარმოიდგინე, მრთელს ხმელე-

ოხედ, ყოველთაგან დატეკებულს, ყოველთაგან ხელ
 აღებულს შენის გულისათვის, ერთი მხოლოდ შენ ჭეკახტ
 ნუგეშად და უცებ შენცა ხდება იმის წინააღმდეგად და
 იმასაცგი შიშობ, ვითომც შენს სიწმინდეს ჩირქი არ
 მიატყოს და ართმევე გულისა, რომელიცა მხოლოდ აცო-
 ცხლებს იმას? ... შენ ეგ არ შეგიძლიან! ეგ არაოდეს
 არ იქნება! ზემოთ ზეცის და ქვეშე მიწის საშინელება
 მაგას ეწინააღმდეგებინ, შენსა და იმისი შორის გაუშინ
 უმეტესად შეართებენ. დარღვევა მხოლოდ შეუძლიანთ
 ბრბანათებს ბერძნებს, გორინთას, იმის მეფეს და არა
 შენ. შენ, რომელიცა მიიზიდე იქამომდე, რომ ჩაიდინა
 ბორბტება იმან, რომელიცა დაბადებული იყო მალაღის,
 კეთილის ბრძნობისათვის; შენ, რომელიცა ხარ მიწის
 იმისის ყოველის უბედურებისა, თუთან შენ, რომელიცა
 სტხოვრებ კეთილმოქმედებისათვის და შენვეკი ხარ მოლა-
 ლატე კეთილმოქმედებისა.

ო ა ზ. (გაჯავრებით) და შენ, ამას ეძახი დანაშაულობას
 რატომ არ მიუვარს? თუ რომ ჩემი გული გეჩვენება
 შენ დამნაშავეთ გაამტეუნე ვენერა.

ო რ თ. ვენერა?

ო ა ზ. სწორეთ, სწორეთ, ვენერა, გაიგლიჯე ჩემო
 გულო, გაიგლიჯე. რომ ნახონ აღი, რომელიცა აგრე
 უწყალოდ შენა გწამს.

ო რ თ. რას ანობ მაგას?

ო ა ზ. დამეკარტე აქედან ამაო რჩევაჲ. კაცების დამუ-
 ქარებაჲ და... დანაშაულობაჲ... . არა..... აღრინდელი
 ჩემი კავშირი დაარღვიო მხოლოდ სიუჟანულმა.—მე
 შეუჟარს! შეუჟარს!

ო რ თუ ვინა? კრეუსა?

ი ა ნ. ჭო, სწორეთ კრეუსა, და იმისი უმანკოება; კრეუსა და იმისი მშკენიერება, კრეუსა და იმისი სიმშვიდე. ახალს, ჩემს უცებ გამოცვლას მოჭყეებს შენ წერომაში, მე ვიცი; მაგრამ როდესაც, შენ გეუბნები გულგრილო ეჭვიდვის საყვარელო, თანსწორი მტკერი შეგჭმნის ნასათ და მამაცათა? მაშ. არ იცი რომ სიუჟურულიცან და რმისაცან, ჩქნში ერთგვარად ხურს სისხლი? განა შექმდო ღამეცა გოლიათი, გარდამელო თუო საშიში გსები, განმეკმირა ღამეები შუბით, თუ რომ ვრცელს ჩემს გულში, არ ყოფილიყო კვალად გული თავისის აღეკებით ღამეებზედ, ქუხილზედ, მდინარებზედ და რკანოზედაც უმეტეს საშიში? ერთის შენის გაღამებთათ მობედვისათუ, რა საყვარელო ჩემო სადღეოფლო, მოკრეუკადა მრთელს საბერძნეთს ცრემლით და სისხლით; მე მხოლოდ ერთი გამოვიცხოვდი ათას კაცს სამრათ. ჩქნთუც განქნილია სიუჟურული, რმისა მგზავსი.

ო რ თუ მართალია, თქნს გიყვართ წითელ-ღოუა ქალები, როგორც დათვის ფუტკარის სკა, როგორც მშინარე მგელს ერთათ შეკროვილი ცხვარი, ანუ როგორც მდინარეს აღმოცენებული კიდენი, რომელთა საუნჯეს მოგლეჯს და მიაქს თავისის ატლანტების ტალღებით. მაგრამ მე უეცრად გამგზავსა ... მივრბივარ...

ი ა ნ. შენ. ..

ო რ თუ. მივდივარ იმ განზრახვით, რომ დავიხსნა კრეუსა შენის უგუნურის სურვილისგან; მე ვატყობ

იმის მამას ყოველსევე, რაც რომ წარმოადგება თქვენის
უსამართლო ქორწინებისაგან!

ი ა ზ. წადი, და უკეთე იმათ წინ გამომიყვან ღმრთი-
შაგეთ, მაშინ ახალის ომში გამარჯვებით შევიმოს
გაუად დიდებასა. ახლა საშინელი ამ ქვეყნის მტერი
ანტიკრონი გამოვიდა ამ კიდევსევე; მივდივარ მისაგე-
ბებლად, გტარებ ზღვს და დავტყუებ ძინს. ხვალ, რთდესაც
ქებინა სიძულენით შემომიყვანენ ქალაქში, რომელსაც
მხარხვად მკვიდება სისხლში მოსვრილი ახალი ანტიკი,
მაშინ ხმა გაკმეცით იქნები.... და ჩემ ჭილდოდ მომე-
ცემა ეს შენი სიხუმით დგომა.

ო რ ფ. ვნახეთ. (ისმის წყნარი მუხიკის ხმა და
ქედსევე გამოჩნდება კრეუსა, რომელსაც მოსდევნ
ქალები, კვლში უჭირაკთ უვაგილისაგან დაწნული გვირ-
გვირი). ეს რა გალობაა!

ი ა ზ. ჩანგების ხმასევე, კრეუსა თავისის სასახლის
ქალებით მივაჯს დიანას ტაძარში, იმ აზრით, რომ
სთხოვოს მოტყუება, რადგანაც იმის სამსახურიდან
იუნონას სამსახურში გადადის.

ო რ ფ. მომევი, მივეგებნეთ კრეუსს.

ი ა ზ. შე ანტიკრონის მისაგებებლად მივდივარ, რომ
კრეუსა უფრო დავისკუთრო აბა, ჩემო თავო გამხნევი!
მევიდა ის საათი, რომლით შერეულს ხალხს უნდა
დაანახო, თუ რეგორი შული მოსტა ქვეყანას დიდმა
დედამან ჩემმან. (გაკლენ, კრეუსა გამოვა სასახლის
ქალებით, წყნარის მუხიკის ხმასევე. კრეუსა აღწიწებითა
ხდება უვაგილთაგან დაწნულს გვირგვინის დიანას გამო-

ქანდაკებულის სხსის წინ და თან ამას ნიბობს.)

კამოსიკელა 5.

კრეუსა, ძიძა, სსახლის ქალები.

კრეუსა. ქალწულებითი სარტყელისა მექონევ
 ღმერთავ, განშეგნებულა ჩქარისა მოსიარულე ფეხსაც-
 მელის სანდალებითა, შემოგწინებ ჩემის ნაწნაგებითურთ,
 ახალის დღის მომღიმარეს საუნჯესა. ესენი აღმოცანდენს
 მშვენიერს ლელეში, სადაცა თავის დღეში არ მოხვედრია
 საქონელის ფეხი; მხოლოდ ფუტკარნი შეესებან თაგა-
 ანთის მსთებარეს ფრთებითა; იმათ მზგავსად ვცხოვრებდი
 მე დიდი ხანი განმარტობით ველზედ, შენის ზედახე-
 დველობით! ეჭა ღმერთავ! ჩამოვიდდი ქალწულებისა
 ფარდასა პირითგან, მხოლოდ ზეტიდგან გადმომხდარ
 სხივისათვის; მაგრამ მინდობმა ნახა თავის სკმერთო
 საფარველში ცხენი ცუტხლებრ მგზნებარე ნესტობით,
 და შეეგება რა თავისს უფალს, მიატოვა ბალახი, ყვავი-
 ლები და წყალი თავისი საკუთარი. მომიტევე ღმერთავ,
 მომიტევე, უკეთუ ლატონისათვის ვანებენ შენ სამსახურს
 თავსა. ყოველს ჩემს აზრში ლაპარაკობს სიყურადღი;
 სიყურადღი ვიმიზიდავს შეუმავრებელის ძალით; სიყურ-
 ადღი, რომელიცა ყოველისფერსა სმლევს შენს გარდა;
 მაგრამ ხომ გამოუტრია იმისი ძალა დედა შენსა, რომე-
 ღმანცა ქვეყნად მოგიყვანა, მომიტევე, ეჭა შენ ღმერთავ!
 (მუხივის ხმა წუდება, კრეუსა მიუბრუნდება ძიძას).
 საყურადღო ძიძავ! დაწევი ღმერთას წინ ჩემი ნაწნაგები;

ჩუბნიკი შეკითხვით ტაძარში მწიფე ხილი, გემრიელი ზურა და ჩუბნიკი აღთქმა. (შედან ტაძარში მუხიკის დაგვირით, რომელსაც პაღლა დაიწყო და წინაწინა უმადანდებს სმას)

ჯამასულა 4.

ძიძა მარტო, შეშდგამ შედია, შედანტი და დივანნი, რომელნიცა მოჭეკვს დედის გელით აქო იქით დატყრილი.

ძიძა. (აწეობს რა ნაწინკებს დასასწინ). დეკუშურნეთ კეთილის საქმის აღსრულებას და შეშდგანს წავიდეთ სასახლეში... (რა დაინახავს შედიას). ამას რას ვხედავ?

შედიას. მომხსენებთ, საყურადღებო შედგობა, მომხსენებთ ერთის ბიჯის შეტი აღარ არა სკოსსაყუდელის აღატამდინ.

ძიძა. რამდენი მწუნარება ახსევას ამ ბიჭის სახეს და ამასთანვე რა დიდება აწერია! რა მშვენიერებაა!

შედიას. (ძიძას). დედა, ეს სადა ვართ? სტუმარით მოყვარე უბიჭის მხარე ხომ არ არის ეს მხარე?

ძიძა სწორეთ!

შედიას. (ახეუებს რა ტაძარს.) მაშ ეს იქნება დასასწინ ტაძარი?

ძიძა. დიხს, სწორეთ ეს არის.

შედიას. როდესაც მოუახლოვდებოდი წელან ამ ალაგს, თათქოს შემომესმა გალობის ხმა.

ძიძა. დიხს, ის გალობა იყო ორფეის ჩანგისა.

შედიას (ამღვრევით). ორფეისა? აჰ, დემეტობო!

ძ ი ძ ა . დიდის დღესასწაულით ახირობენ მეფის ქალის ქორწინებას; მაგრამ ერთი შიშობი, თითქოს მაგ შენის საუბარით, გეცნობა ეს ტკბილი გალობა, ამისათვის, რომ შებოგხედოს კაცმა, თითქოს ბერძენა არა ხარო.

მ ე დ ი ა , მართალია, მაგრამ მე ის ხმა შეცნობა.

ძ ი ძ ა . (თავისთვის). სიკვირველია, ზასუსს მეუბნება და თითქოს სთქთისო!

მ ე დ ი ა . (დახანხვებს რა თავისს შულებს დიანას გამოქანდაკებულს სახეს). დასდევით მანდ ეკ მეზნება რე საბურველი, რომელიცა ცაში მოქსოვს აზღოღნმა თავისის სხივებისგან (უმაწილები სდებენ დიანას წინ თავ ახდილს უუთსა).

ძ ი ძ ა . (სინჯავს რა საბურავსა). როგორი ჩინებული შესაწირავია! როგორი საკვირველი ხელოვნებაა! არსად დაგვეარება, ჩუქნი ღმერთანი, მაშასადამე შენიცა ღმერთანი არიან!

მ ე დ ი ა . ოჲ, არა! ჩემს ღმერთებს ნუ ადარებ შენს ღმერთებსა. ან გვარს მსხვერპლსა ჩემი ღმერთანი უგულვებელს ჰყოფენ; იმათი სამსახური საშინელებაა! იმათი სამსახური მოითხოვს მოუწყვეტელი კვლასა და თუქმის თუთან ჩუქნს კვენკასაცა სწყურიან კაცისისხელი.

ძ ი ძ ა . (სიჩქარით). ოჲ, ღმერთებო! სად არის ეს კელური მხარე, შიშობით! (მედაა უნდა განმორდეს). მაგრამ არა, მე ზატვისა ვცემ შენს საიდუმლოებასა. მინამდისინ კრეუსა ტამჩითვან გამოვიდოდეს, მოისვენე აჰ! იმის ყოველთვის ებრძლება უბედური.

გამოსულა მ.

მედიან, მელანტი, ლიკონი.

მედიან. ორთქი! სადღესასწაულო ქორწინლის გალობა! დიდი ხანი ან ანის მას აქეთ, როდესაც მიუყვანდით ტაძარში, მრწამდა... მაგრამ ახლავი... ოჰ, იანონ! ოჰ, ჩემო იანონ! სომ ან მომიკვდი შენ? სომ ან გა-მეჭკტი? ან, ვამ თუ უნელსა სავანში, შოკს, სადღაცა დამარხული. ხარ ცოცხლათა და იტანჯები? სადა ხარ, სადა ხარ შენ?

მედიანტი. (თავის დედას). დედა! დავიღალე.

მედიან. (მწუხარებით). ოჰ, საუჩარელო, მაკ სიტყ-ვებით გულის მიზობ, რა გითხრა შელო, რომდესაც ან გაქვს ჭკნი, რომლისათვისაც თავი შეგვეფარებინა და მოგვესვენა. ბაღის ნაგველად უნდა იყოს შენთვის ეს ტიტველი კლდე....

